ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №470860

ნომერი: AR197008

თარიღი : 11.12.2012

გაცემის თარიღი : 14.12.2012

გაცნობის თარიღი : 13.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბიქტორ კიკაბიძე პ/ნ 01003003738
- თბილისი მ.ალექსიძის ქ. N 1 კორ. 4 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #1045 სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 11 დეკემბერს #Aღ197008 განცხადებით მომართა ბიქტორ კიკაბიძემ და მოითხოვა საპროექტო ობიექტის ფუნქციის სამრეცხაო ბოქსების დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 20.07.2011 წ. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გლდანი-ნაძალადევის რ/ნ–ში, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის (კაფე,სწრაფი კვების ობიექტი,ოფისი) აშენების მიზნით დადგენილ იქნა #1045 სამშენებლო

მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა საცხოვრებელი ზონა-6. სადაც „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, დასაშვებია საყოფაცხოვრებო ფუნქციის მქონე ობიექტების განთავსება. ამასთან ვინაიდან ხდება სამრეცხაო ბოქსების დამატება შენიშვნის სახით სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა დაფიქსირდეს, რომ: ავტოსამრეცხაოს ბოქსებთან მომსახურება არ აღიქმებოდეს მთავარი ქუჩის მხრიდან (ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის #01.14.11 დადგენილება).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 20.07.2011 წ. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #1045 სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტს დაემატოს ავტოსამრეცხაოს ობიექტი;
2. შენიშვნის სახით სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს, რომ: ავტოსამრეცხაოს ბოქსების განთავსებისას, საპროექტო გადაწყვეტილებით, გათვალისწინებულ იქნას, რომ ბოქსებთან მომსახურება არ უნდა აღიქმებოდეს მთავარი ქუჩის მხრიდან;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 20.07.2011 წ. #1045 სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.